დამტკიცებულია
სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 11 თებერვლის №11 ბრძანებით

სსიპ კასპის კოლეჯის
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.2. სსიპ კასპის კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) ხარისხის უზრუნვლყოფის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
1.3. წინამდებარე მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

მუხლი 2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

2.1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:



P – Plan - დაგეგმე;
D – Do - განახორციელე;
C – Check - შეამოწმე;
A – Act - განავითარე .

P – Plan - დაგეგმე - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.
D – Do - განახორციელე - აღწერს იმ პროცესებსა და ქვეპროცესებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისთვის განისაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და ანგარიშგებას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების კორექტირება. ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ სტანდარტებთან.
C – Check - შეამოწმე - ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ

სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს; დაწესებულების მიერ ამ კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება დაწესებულების პერსონალს. შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

A – Act - განავითარე - სახავს კვლევის შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს, ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

2.2. მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველოყოფა

3.1. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით მოწმდება:

3.1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;

3.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

3.1.3 სასწავლო გარემო;

3.1.4 მატერიალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება;

3.1.5 პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;

3.1.6 შეფასების ინსტრუმენტები;

3.1.7 კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

3.2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების სრულყოფას დაწესებულება ახდენს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა (ხორციელდება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით) და ვერიფიკაციის მეშვეობით.

3.3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით:

3.3.1. პროგრამის განვითარება;

3.3.2. მოდულების რიგითობის განსაზღვრა;

3.3.3. სწავლების მეთოდები;

3.3.4. შეფასების ინსტრუმენტი;

3.3.5. საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

3.4. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სრული ჩართულობა.

მუხლი 4. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

4.1. დაწესებულება ხარისხის მართვისთვის იყენებს შემდეგ ფორმებს:

4.1.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასება

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრის მიერ მეცადინეობებზე, აგრეთვე, შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრებისა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარის მეშვეობით პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის გზით მოწმდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობა, ხოლო მოდულის დასრულებისას კეთდება ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინება პროფესიული განათლების მასწავლებელს.

4.1.2. კონკრეტული მოდულის შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმვალობაში ხორციელდება აღნიშნული მოდულის განხორციელების შეფასება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარის მეშვეობით. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებული კითხვარის საფუძველზე ხორციელდება მოდულის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, რაც წარედგინება დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ჯგუფს, რომელიც თავისმხრივ აღნიშნულს წარუდგენს გარე მხარდაჭერის ჯგუფს. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი მოდულში ცვლილების განხორციელება.

4.1.3. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა

პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- **მოდულის შეფასება;**
- **პროფესიული განათლების მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასება;**
- **რესურსებისა და სასწავლო გარემოს შეფასება;**
- **შეფასების ინსტრუმენტის შეფასება.**

პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარების მეშვეობით, კერძოდ, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები ავსებენ კითხვარებს, რომელთა ანონიმურობა დაცულია. აღნიშნული კითხვარების ანალიზის საფუძველზე შიდა მხარდაჭერს ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და დასახავს მათი აღმოფხრის გზებს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

4.1.4. ვერიფიკაციის პროცედურა

ვერიფიკაციის პროცედურა გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას, რაც ნიშნავს სასწავლო პროცესში უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ვალიდურობა;**
- **სანდოობა;**
- **გამჭვირვალობა;**
- **სამართლიანობა;**
- **ობიექტურობა.**

ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანების საფუძველზე და მოიცავს შიდა მხარდაჭერის ჯგუფსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობაში არ უნდა მონაწილეობდნენ ის პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ შეფასების ინსტრუმენტის შექმნასა და ვალიდაციაში (შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით).

ვერიფიკაციის პროცესში დაცული უნდა იყოს, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის, ასევე პროფესიული სტუდენტის უფლებები.
ვერიფიკაციასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე მექანიზმები, რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმებით.

4.1.5. მატერიალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება

დაწესებულებაში ყოველ 6 თვეში ხორციელდება მატერიალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარების საფუძველზე. კითხვარები შესავსებად წარედგინებათ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებელებს და პროფესიულ სტუდენტებს. აღნიშნული კითხვარების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და დასახავს მათი აღმოფხრის გზებს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

4.1.6. კურსდამთავრებულების გამოკითხვა

დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება პროგრამის დასრულებიდან 3 თვის შემდგომ, ხოლო განმეორებითი გამოკითხვა კი ტარდება პირველი გამოკითხვის ჩატარებიდან 6 თვის შემდგომ.

4.1.7. დამსაქმებლების გამოკითხვა

დაწესებულებაში ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის მიზანია განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს, საჭიროებენ თუ არა პროფესიული სტუდენტები დამატებითი პრაქტიკის გავლას, რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა მიერ შესაბამის პოზიციებთან დაკავშირებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რამდენად საკმარისია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის და სხვა. აღნიშნული გამოკითხვა ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 თვის ვადაში და მისი შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

5.1. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა და ხელმძღვანელი განისაზღვრება ზემოაღნიშნული ბრძანებით.
5.2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია: სასწავლო პროცესზე დასწრება, შეფასების სისტემის მონიტორინგი და მისი ეფექტურობის შეფასება, კითხვარების შეგროვება, ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.
5.3. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი განიხილავს მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. შიდა

მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე მექანიზმებს ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.
6.2. წინამდებარე მექანიზმებში ცვლილებები და/ან დამატებები ხორცილდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.